ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1982189

ნომერი: AR1318483

თარიღი : 15.06.2015

გაცემის თარიღი : 29.06.2015

გაცნობის თარიღი : 30.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი სულაბერიძე პ/ნ 01008003578
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 78 კორ. 4 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 15 ივნისის AR1318483 განაცხადით მომართეს გიორგი სულაბერიძემ და ზვიად ქოიავამ და მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებით ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. N41-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.07.003.057) შეთანხმდა საოფისე შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტი. 2015 წლის 8 ივნისის N1943701 ბრძანებით აღნიშნულ ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 11.06.2015 -დან 11.06.2017-ის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა ზვიადი ქოიავა.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისად განცმხადებელი მოითხოვს აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემდეგი სახით დაფიქსირებას:
•საერთო ფართობი -1228,7 კვ.მ.
•საოფისე ფართობი -788,8 კვ.მ.
•საზაფხულო ფართობი -106,3კვ.მ.
•კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი -113,4.

სამსახურმა 2015 წლის 15 ივნისის AR1318483 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ივნისის N1938322 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
•საერთო ფართობი -1228,7 კვ.მ.
•საოფისე ფართობი -788,8 კვ.მ.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge